ხელშეკრულება
N 71

ქ. ფოთი 22 ივლისი 2016 წ.

ხობის კულტურის ცენტრი (შემდგომში „ დამკვეთად“ წოდებული), მისი დირექტორის **ბეჟან ნადარაიას** სახით, ერთის მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული-პირი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო (შემდგომში ,,შემსრულებლად” წოდებული), მისი უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკის **მერაბ ლიპარტიას** სახით, მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით “დამკვეთი” გადასცემს, ხოლო “დაცვა” იღებს ვალდებულებას მოკვლევის აქტის საფუძველზე განახორციელოს ხობის კულტურის ცენტრში (შემდგომში “ობიექტი”) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით, მდებარე ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N187 რისთვისაც “დამკვეთი” უხდის “დაცვა”-ს შეთანხმებულ საზღაურს.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 ”დამკვეთი“ ვალდებულია:
2.1.1 შეუქმნას “დაცვას” სამუშაო პირობები;
2.1.2 ხელშეკრულებით დადგენილ დროში აანაზღაუროს “დაცვი”-ს მომსახურეობის ღირებულება;
2.1.3 15 დღით ადრე “დაცვას” აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს “ობიექტზე” მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც ეხება “ობიექტზე” საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უსაფრთხოებას (მუშაობის რეჟიმი, საამშენებლო, სარემონტო ან მიშენებითი სამუშაოები, დამატებითი მომსახურეობის სახეები და ა.შ.)
2.1.4 გააცნოს “დაცვის” მუშაკებს დასაცავ “ობიექტზე” არსებული ტექნიკური უსაფრთხოების წესები.
2.1.5 უფასოდ გამოყოს სათავსოები, შესაბამისი ინვენტარითა და საკუთარი ხარჯებით შეუქმნას დაცვის მუშაკებს სათანადო შრომითი პირობები.
2.1.6 “დამკვეთს” ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს “დაცვის” თანამშრომელს იმ პირთა, ფულადი სახსრების, მატერიალური ფასეულობების დაცვა, რომლებიც იმყოფებიან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის “ობიექტში”.

2.2 “დაცვა” ვალდებულია:
2.2.1 ‘ობიექტი”-ს მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე, “დამკვეთთან” შეთანხმებით განსაზღვროს საშტატო ერთეულის რაოდენობა, სამუშაო საათები და მომსახურეობის რეჟიმი.
2.2.2 უზრუნველყოს დასაცავ “ობიექტზე’ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.
2.2.3 კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები. “პოლიციის შესახებ” კანონის მოთხოვნათა შესაბამისად;
2.2.4 არ გაამჟღავნოს “დამკვეთის” სამსახურეობრივი და პირადი საიდუმლოება;
2.2.5 “დამკვეთთან” შეთანხმებით განახორციელოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ცეცხლსასროლი იარაღით ან იარაღის გარეშე;
2.3 “დაცვა” “ობიექტი”-ს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მატერიალურ პასუხისმგებლობას არ კისრულობს.

მუხლი 3. “დაცვი”-ს თანამშრომელთა შემადგენლობა

3.1 “დამკვეთის” მოთხოვნით ხობის კულტურის ცენტრის დაცვა განხორციელდება 3 (სამი) უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულით. სამცვლიანი სამუშაო გრაფიკით, ცვლაში 1 (ერთი) უმცროსი ინსპექტორი, 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით.

მუხლი 4. მხარეთა შორის ანგარიშსწორება.

4.1 “დაცვის” მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს 1200 (ათასორასი) ლარს დღგ-ის ჩათვლით ერთი უმცროსი ინსპექტორის თანხა 400 (ოთხასი) ლარი დ.ღ.გ-ის ჩათვლით.

4.2 "დამკვეთი" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას "დაცვას" გადაუხდის ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

მუხლი 5. ფორს_მაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს_მაჟორული შემთხვევების დროს: ომი, საომარი მდგომარეობა ქვეყანაში, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა სტიქიური მოვლენები, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულება იდება ერთი წლის ვადით, ძალაში შედის 2017 წლის 10 იანვრიდან და მოქმედებს 2018 წლის 10 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1. ხელშეკრულებაში ვადის გაგრძელება და ცვლილებები შეტანილი იქნება "დამკვეთის"და "დაცვის" მხრიდან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სიტყვიერი შეთანხმებას იურიდიული ძალა არ ექნება;

7.2. ხელშეკრულების გაუქმება ვადაზე ადრე შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით, ასევე რომელიმე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარის წერილობით შეტყობინების საფუძველზე, ორი კვირის გასვლის შემდეგ, შესაბამისი დარღვევის მითითებით;

7.3 დაცვის მომსახურეობის თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში დაცვა უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და თანხის ამოღების მიზნით მიმართოს სასამართლოს.

7.4 ხელშეკრულება შედგენილია ოთხ პირად, რომლის ერთი პირი ინახება "დამკვეთთან", ხოლო სამი "დაცვაში";

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.

„დ ა მ კ ვ ე თ ი"

ხობის კულტურის ცენტრი. ქ. ხობი ც. დადიანის ქ №187. ს/კ №244690394
ა /ა №33030992 სს "ლიბერთი ბანკი"-ს ხობის ფილიალი

ხობის კულტურის ცენტრის
დირექტორი

ბეჟან ნადარაია

„დ ა ც ვ ა"

შსს სსიპ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო
ს/კ N211350928, ქ. ფოთი, მშვიდობის ქ. N 6.
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი : TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707117041

სამმართველოს უფროსი

/ მ. ლიპარტია /